ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	061006

ქვეპროგრამის დასახელება:

შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2025 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	35,000
სულ ბიუჯეტი:	35,000

ქვეპროგრამის მიზანი:

შშმ პირების პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენა/ამაღლება მათთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მოდულის შეთავაზებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

შრომის ბაზარზე დამკვიდრება და თვითრეალიზაცია განსაკუთრებით რთულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ვინაიდან ნაკლებად ხელმისაწვდომია მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული დასაქმების ხელშეწყობის მომსახურება და ისინი სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. მონაწილეობის, ავტონომიურობისა და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული დასაქმება უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ღია ბაზარზე მუშაობის რეალურ შესაძლებლობას. სწორედ პროგრამის სამი ძირითადი კომპონენტი სწავლება - დასაქმება - მხარდაჭერა უზრუნველყოფს აღნიშნული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების ინტეგრაციას, რომელიც თავის თავში მოიცავს ღია შრომის ბაზარზე გვერდიგვერდ იმავე პირობებში შშმ პირების მუშაობას კომპანიაში დასაქმებულ სხვა პირებთან ერთად, რაც ბუნებრივი ინტეგრაციის საუკეთესო შესაძლებლობას წარმოადგენს.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
შშმ პირთა პროფესიული სწავლება	6	4500	27,000
შშმ პირთა პრაქტიკული უნარების განვითარება	4	2000	8,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			35,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

საქმიანობის აღწერა	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოწმოდებლის გამოვლენა და ხელშეკრულების გაფორმება		X	X	
დასაქმებისათვის საჭირო პროფესიული და პრაქტიკული უნარების შეძენა/ამაღლების მსურველი შშმ პირების მობილიზება		X	X	

შშმ პირების შრომითი უნარების ინდივიდუალური შეფასების და აღიშნული შეფასების საფუძველზე გამოვლენილ ძლიერ მხარეების გათვალსწინებით სავარაუდო პროფესიების განსაზღვრა		X	X	
აჭარის ტერიტორიაზე ოპერირებადი ორგანიზაციების საჭიროებებისა და პირობების გათვალისწინებით ქვეპროგრამის პროფესიების განსაზღვრა		X	X	
ბენეფიციარის შეფასების საფუძველზე გამოვლენილ ძლიერ მხარეებზე დაფუძნებული განათლების გეგმის შემუშავება		X	X	
სასწავლო პროცესის ორგანიზება		X	X	X
ქვეპროგრამის მონიტორინგის განხორციელება		X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება და შეფასება		X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

ქვეპროგრამის მოსარგებლე შშმ პირს აქვს შეძენილი პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
ქვეპროგრამის მოსარგებლე შშმ პირს აქვს შეძენილი პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის	ქვეპროგრამის მონაწილე ბენეფიციართა რაოდენობა	10	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	გადამზადებულ/ სერტიფიცირებულ მონაწილეთა რაოდენობა;	არაუმეტეს 10	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო, მიმწოდებელი ორგანიზაცია	წელიწადში ერთხელ	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	მონიტორინგის ჯგუფისა და მიმწოდებელის მიერ მოწოდებული ანგარიში
	გადამზადების შედეგად დასაქმებული მოქალაქეები	30%	დასაქმებულთა სტატისტიკა	წლის განმავლობაში	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული შრომის ბაზრის მართვის ელექტრონული სისტემის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი